პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 12 სექტემბერი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 35 (246). ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფხიზლე და დარაზმულობა ჩვენი გამარჯვების პირობაა

ომის ასპარეზი კავკასიის ქედს მოუახლოვდა. ამიერ-კავკასია უკვე ფრონტისპირა ზონაა. ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ქალაქებსა და დაბა-სოფლებს მოელით განიცადონ უშუალო სიძწვავე სასტიკი ომისა. პარტია, მთავრობა ღებულობენ ყველა ზომას, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა ყოველმხრივ — როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიურად და მორალურად მომზადებული შეხვდეს განსაცდელს.

საქართველოს საბჭოთა მწერლობას ევალება შეასრულოს თავისი როლი აგიტატორისა, ორგანიზატორისა, რათა ჩვენი ხალხი გმირულად და ვაჟკაცურად გაუძკლავდეს ვერაგი მტრის შეძოქვას.

მუხანათი მტერი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს, რომ იმ დრომდე, სანამ ჩვენი ჯარი კავკასიონის მთებიდან გაძანადგურებელ ლახვარს ჩასცემდეს მტრის ურდოებს, სულიერად გასტეხოს, სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს მოსახლეობა და ამგვარად ჩაჰკლას მასში წინააღმდეგობის გაწევის უნარი.

ამიერ-კავკასიის საზღვრებთან ომის ცეცხლის ხაზის მოახლოვებასთან ერთად გაძლიერდა მტრის საზიზღარი აგენტურის მუშაობა. ასრულებს რა გერმანულ-ფაშისტური დაზვერვის დავალებას, მტრის აგენტურა, პირველ ყოვლისა, სცდილობს გააღვივოს ეროვნული შუღლი ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, აღძრას მათში ურთიერთისადმი უნდობლობა და სიძულვილი, გაავრცელოს ყალბი პროვოკაციული ხმები თითქოს ზოგიერთი ხალხისადმი ფაშიზმი „მოწყალე და ლმობიერია“. ჩვენი მოსახლეობისათვის აწ უკვე ცნობილი ვერაგული აქტები მუხთალი მტრისა ღადაბებენ, რომ პირისისხლიანი ფაშიზმი თანაბრად სასტიკი და დაუნდობელია ყველა კუთხის, ყველა რაიონის საბჭოთა მოსახლეობისადმი, რა ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

მტრის დაზვერვა მეორე მიმართულებითაც მუშაობს: ფაშისტური დაზვერვის აგენტები ემყარებიან რა გერმანული ჯარის მიმდინარე ზაფხულის დროებით წარმატებას, რაც მტერს მილიონ ჯარისკაცის სიცოცხლისა და უამრავი ტექნიკის განადგურების ფასად დაუჯდა, ლამობენ კვლავ გაავრცელონ ჩვენს მოსახლეობაში დამსხვრეული მითი გერმანული ფაშისტური არმიის „უძლეველობის“ შესახებ.

მტრის აგენტების ამ ზღაპრებს ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ ფაქტები ჩვენი სახელოვანი, შეუპოვარი წითელი არმიის მამაცობისა და მედგრობისა, რომლებმაც მტვრად აქციეს, მოსპეს და გაანადგურეს გერმანელ ვანდალთა და ბარბაროსთა ათობით და ასობით დივიზიები, მთელ რიგ მნიშვნელოვან უბნებზე შეაჩერეს მისი წინსვლა და რამდენიმე ასი კილომეტრით უკუაგდეს იგი. ლენინგრადთან, მოსკოვთან, ტიხვინთან, ვორონეჟთან, დონის ნაპირებთან მტრის არმიების განადგურება ცხადჰყოფს, რომ ჩვენ მაძაც ჯარს შეესწევს ძალა საბოლოოდ მოსპოს და მტვრად აქციოს ფაშიზმის ჯოჯოხეთური საომარი მანქანა. აი,— ეს ფაქტები უნდა დაუპირისპიროს საბჭოთა მწერალმა, როგორც აგიტატორმა ფაშისტური ჯარების უძლეველობის ზღაპარს.

არასოდეს ისე საჭირო და აუცილებელი არ ყოფილა მწერლის მუშაობა, როგორც ახლა—ამ მეტად სერიოზულ მომენტში. მთელი ჩვენი უნარი, როგორც მოქალაქის და მწერლისა, უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ აღვკვეთოთ ფაშისტური აგენტურის ყოველგვარი ცდა—მოახდინოს მოსახლეობის დემორალიზაცია, შეიტანოს მასში პანიკა და არევ-დარევა. მტერს არ უნდა მივცეთ საშუალება აწუწ-დაწუწოს ჩვენი რიგები, ჩაშალოს ჩვენი საწარმოების და დაწესებულებების მწყობრი მუშაობა.

მთელი ჩვენი შესაძლებლობა, მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები ვაქციოთ უდრეკ აუღებელ ბასტიონად, გაუტეხელ ციხე-სიმაგრედ.

ჩვენი საჯარო სიტყვიერი გამოსვლებით, მოხსენებებით, ლექსებით, მოთხრობებით უნდა ვაღვივოთ დაუცხრომელი მგზნებარე სიძულვილი მოსისხლე და მუხთალი მტრისადმი, გავფანტოთ ის უზრუნველობა, უდარდელობა, გულგრილობა, რომელიც ჯერ კიდევ ემჩნევა ზოგიერთებს. პუბლიცისტური და მხატვრული სიტყვით უნდა შევაჩვიოთ მოქალაქენი იმ აზრს, რომ მოგველის მძიმე დღეები, დიდი გაჭირვება. ამავე დროს უნდა დავნერგოთ და განვამტკიცოთ მათში გადაწყვეტილება ბოლომდე ბრძოლისა, მტრის სრულ მოსპობამდე ბრძოლისა, სრული გამარჯვების მიღწევამდე ბრძოლისა.

გავამახვილოთ ჩვენი საბრძოლო იარაღი, ჩვენი კალამი, ავამაღლოთ მისი ზემოქმედების ძალა, გავაძლიეროთ მხნეობა და სულიერი სიმტკიცე ყველა მოქალაქეში, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა უშიშრად, მედგრად შეხვდეს ყოველგვარ საშიშროებას და სიძნელეს, რომ არცერთმა მოქალაქემ არ მიატოვოს თავისი პოსტი და რამდენადაც მდგომარეობა რთული და სამძიმო იქნება, იმდენად ყოველმა ჩვენგანმა უფრო ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღოს.

ჩვენი ზურგის სიმტკიცემ, ჩვენი არმიის სიმამაცემ უნდა მოდრიკოს, უკუაქციოს და გაანადგუროს პირისისხლიანი მტერი—ფაშისტური ბარბაროსები.

წითელი არმიისა და მისი ზურგის ამ სიმტკიცის გამოჭედვაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოს საბჭოთა მწერლობამ.

მკერდით, მახვილით დავიცვათ ჩვენი საყვარელი სამშობლო

ალიო მაშაშვილი

კაცობრიობისა და კულტურის მოძულე ბრბო ჩვენს ქვეყანას ემუქრება. კვნესა და გოდება გვესმის ფაშისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნებიდან.

გერმანელ ოკუპანტებს მოუვათ კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ გაგონილი საშინელება. ისინი არ ინდობენ არც კაცებს, არც ქალებს, არც დიდს, არც პატარას. ისინი არ ინდობენ ძუძუმწოვარ ბავშვებსაც და ავტომატის ტყვიებით აკვნებს ცხრილავენ. მათ მოაქვთ მონობა, ტახჯვა და სახრჩობელა. მათ ჰსურთ, თავიანთი ბინძური ფეხი დაადგან საბჭოთა ხალხების სინდისს და პატიოსნებას, სიცოცხლესა და თავისუფლებას. გააფთრებული მტერი არად აგდებს ადამიანთა სიცოცხლეს, ოღონდ თავისი მხეცური ვინი აისრულოს — დაიპყროს ჩვენი მდიდარი ქვეყანა, დაიმონოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

საშინელების აჩრდილი დაეწვა ჩვენს ქვეყანას. მტერმა გადმოლახა საძმრეთ რუსეთის ველები და ურჩხულივით შიიღტვის კავკასიისაკენ. იგი თავის სისხლიან ბრჭყალებს უმიზნებს საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს.

ძმებო და დებო! საქართველოს ღვიძლნო მამულიშვილნო! ოდითგანვე ჩვენ გვზრდიდა სამშობლო, ჩვენი მიწა-წყალი. ტკბილი და სანუკვარია იგი ჩვენთვის. მშობლიური და საყვარელია ის ადგილ-მამული, სადაც აკვანს გვირწევდა დედა-სამშობლო. მტერს ნუ მივცემთ უფლებას ფეხქვეშ გათელოს ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი სხეული. მტერი უნდა შევაჩეროთ, მტერი უნდა უკუვაგდოთ! უნდა შევაჩეროთ და დავამსხვრიოთ მტრის ჯოჯოხეთური მახვანა. ჩვენ ამას შევძლებთ, მხოლოდ საჭიროა გმირობა და თავდადება სამშობლოსათვის. ჩვენ მარტონი არა ვართ. ჩვენ მხარში გვიდგანან საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხები, მთელი მოწინავე კაცობრიობა. უნდა დავუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველი ხალხი დღესაც, როგორც წარსულში, მზად არის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს თავისუფლების, თავისი მიწა-წყლის დასაცავად.

არ არის გრძნობა მამულის დაცვის გრძნობაზე უფრო მაღალი. „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ გულზე ხელს კი არ აკვრევინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოება დაკარგულს, არამედ იმდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“, სწერდა დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე.

რამდენიმე თვის წინათ ფრონტზე ვიყავი, ვახლდი საქართველოს დელეგაციას, რომელმაც საჩუქრები ჩაუტანა სამხრეთის ფრონტის გმირ მებრძოლებს. ვნახე ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი ნაკვალევი. ვნახე სოფლები და ქალაქები, სადაც გერმანელ ურდოებს გაუვლიათ. არსად სიცოცხლის ნატამალიც არა ბუუტავს. ყველგან ფერფლი და ნახშირი! ერთერთ ფრონტისპირა სოფელში ვნახეთ გერმანელების მიერ მიტოვებული, დაზიანებული უზარმაზარი შორსმსროლელი ქვემეხი. ზედ პატარა, ხუთიოდე წლის ბიჭი ასულიყო. სიცივისაგან გალურჯებული ხელები ჩაეჭიდა მანქანის ჩარხისათვის და ცდილობდა სამიზნე ბორბლის დატრიალებას, რათა მანქანის უზარმაზარი პირი მტრების პოზიციებისაკენ მიემართა. შორიდან კი ისმოდა ქვემეხების განუწყვეტელი გრუხუნი. ბავშვი თითქოს თავის გულიჯწყრომას უერთებდა საბჭოთა არტილერისტების სროლის ხმას და მტერს წყევლა-კრულვას უგზავნიდა. იგი უფროს და-ძმებსა და მშობლებს თუ ჰშველოდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში... იქვე ნასახლარზე, ნაცარტუტაში ეგდო ცეცხლისაგან გარუჯული რკინის პატარა საწოლი.

აი რა მდგომარეობაში ჩააგდეს გერმანელმა ოკუპანტებმა ჩვენი ქვეყნის ბავშვები და დედები! ვნახე ამ საშინელების ჩამდენი მგელ-კაცებიც — გერმანელი, იტალიელი და რუმინელი ტყვეები, ეს ორფეხა ძაღლთაპირები. ვუყურებდი და ბრაზი მიპყრობდა, ნუთუ ამ ავაზაკებმა უნდა დაიმონონ ჩვენი უზარმაზარი ქვეყანა-მეთქი?

არა, ეს არ მოხდება! არ შეიძლება მხეცებმა ადამიანებზე იბატონონ.

ქართველ ხალხს ახსოვს გერმანელი ოკუპანტების თარეში საქართველოში. ეს იყო 1918 წელს. კაიზერის გერმანიას სურდა გზად და ხიდად გაეხადა საქართველო ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთისაკენ. გარდა ამისა, გერმანიის იმპერიალიზმს სურდა დაპატრონებოდა საქართველოს სიმდიდრესაც. ათასობით გერმანელ ჯარისკაცი იყო ჩაყენებული საქართველოს დაბა-სოფლებსა და ქალაქებში. უამრავი სურსათ-სანოვაგე, სიმინდი და ხორბალი იქნა გატანილი საქართველოდან. აღშფოთებულ სოფლებს სწვავდნენ და აწიოკებდნენ. გერმანელ ოკუპანტებს სურდათ საქართველო თავიანთ კოლონიად გაეხადათ, მაგრამ მიზანი ვერ აისრულეს.

კაიზერის ჩაფუშული გეგმის განხორციელებას ფიქრობს მისი ნაშიერი ჰიტლერი. „მე გამოვჭედავ ახალი იმპერიის ფოლადის ბირთვს, — ამბობს იგი, — მის გარშემო უპირველეს ყოვლისა, შეიქნება აღმოსავლეთ ევროპის კონფედერაცია: პოლონეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები, უკრაინა, ვოლგისპირი, კავკასია“. ეს ჰიტლერის აზრით ფედერაცია იქნება, მაგრამ მისი წევრები, რა თქმა უნდა, გერმანელებთან თანასწორუფლებიანნი არ იქნებიან. ეს იქნება კავშირი მეორე ხარისხოვან ხალხებისა, რომლებსაც არ ეყოლებათ არმია, რომლებიც არ აწარმოებენ საკუთარ პოლიტიკას, რომლებსაც არ ექნებათ საკუთარი ეკონომიკა, მაშასადამე, მათ არ ეყოლებათ და არც ესაჭიროებათ საკუთარი ინტელიგენცია, კულტურა და მეცნიერება, ყოველივე ამას იგი სპობს, მას უნდა მხოლოდ ქვეყნის სიმდიდრე და მუშა-პირუტყვი.

ჰიტლერელი არამზადები ვერ მოესწრებიან თავიანთი გიჟური გეგმის განხორციელებას.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხი ბრძოლით იცავდა თავის ეროვნულ თავისუფლებას, იგი გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებს დღეს ამ თავისუფლების შენარჩუნებისათვის. რუს, უკრაინელ, სომეხ და სხვა მოძმე ხალხთან ერთად ქართველი ხალხიც იბრძოდა საერთო მტრების წინააღმდეგ. ქართველი მხედრები მხარდამხარ ედგნენ რუს მხედრებს ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ სამამულო ომის სისხლისმღვრელ დღეებში. ქართველი ხალხის გამარჯვების ბედი დაკავშირებულია რუსი ხალხის, საბჭოთა კავშირის ხალხების გამარჯვებასთან.

მტერთან მუდმივ ბრძოლაში იწრთობოდა და ვაჟკაცდებოდა ქართველი ხალხი. რა ჯურის მტრები არ სწვეოდნენ ჩვენს ქვეყანას. მაშინ ჩვენ მარტონი ვიყავით, უმწეონი, მაგრამ დიდ რუს ხალხთან დაკავშირების შემდეგ ჩვენს ქვეყანას მტრების თარეში არ უნახავს, იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი ცხოვრება, იფურჩქნებოდა და ვაჟკაცდებოდა ჩვენი კულტურა.

ძმებო და დებო! ქართლის დედებო! გავიხსენოთ გმირ წინაპართა ნათელი სახეები.

მტრისადმი სიძულვილით გულანთებული ქარიშხალივით ავდგეთ ბარბაროსების წინააღმდეგ.

მტერს ნუ მივცემთ უფლებას ჩვენი ქვეყანა გადათელოს.

მტერს ნუ მივცემთ უფლებას თავისი ბინძური ფეხით დააბიჭოს რუსთაველისა და დიდი ბელადის წმინდათა-წმინდა აკვანს.

ძმებო და დებო! ქართლის დედებო! მკერდით, მახვილით დავიცვათ ჩვენი საყვარელი სამშობლო.

ალექსანდრე აბაშელის „რჩეული ლექსები“

სახელგამმა გამოსცა ალექსანდრე აბაშელის „რჩეული ლექსები“. ეს წიგნი ავტორის მთელი შემოქმედებითი გზის მაჩვენებელია, აქ მოთავსებულია ლექსები როგორც პირველი წიგნიდან, ისე სამამულო ომის პერიოდში გამოცემულ წიგნაკიდან. „რჩეული ლექსები“ იხსნება ახალი ლექსების ციკლით „წიგნიდან გმირული დღეები“. ეს განყოფილება შეიცავს რჩეულ ლექსებს, დაბეჭდილს ავტორის მიერ 1941-1942 წლების განმავლობაში.

წიგნის მეორე განყოფილება შეიცავს ლექსებს წიგნიდან „მზის სიცილი“. ეს ლექსები ეკუთვნიან პოეტის შემოქმედების პირველ პერიოდს (1910-1913 წლები) და ამოკრეფილია მისი პირველი წიგნიდან.

მესამე განყოფილებაში მოთავსებულია ლექსები წიგნიდან „ანთებული ხეივანი“. ეს ლექსები 1914-1917 წლების პერიოდს ეკუთვნიან.

მეოთხე განყოფილება შეიცავს ლექსებს წიგნიდან „გაბზარული სარკე“. ამ განყოფილებაში მოთავსებული ლექსების ნაწილი პოეტის მიერ საბჭოთა პერიოდშია დაწერილი.

წიგნის უკანასკნელ განყოფილებაში მოქცეულია ლექსები წიგნიდან „მზე და სამშობლო“. ეს განყოფილება წიგნის ყველაზე ვრცელი განყოფილებაა. აქ პოეტი მთელი სისრულით არის წარმოდგენილი. ამ განყოფილებაში დაბეჭდილი ლექსები 1934-1941 წლების პერიოდს ეკუთვნიან.

წიგნში მოთავსებულია 100-მდე ლექსი, შეიცავს 182 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

„დიმიტრი თავდადებული“

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გამოსცა სერგი მაკალათიას პატარა წიგნაკი „დიმიტრი თავდადებული“. წიგნი აგვიწერს მონღოლების ბატონობის პერიოდს საქართველოში. აქ მოთხრობილია ის აუტანელი პირობები, რომლებშიაც ქართველ ხალხს უხდებოდა ცხოვრება მონღოლების შავბნელი ბატონობის დროს, ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლების ეპიზოდები თავისი ქვეყნის განთავისუფლებისა და მტრების გაძევებისათვის. დასასრულ მოთხრობილია მეფე დიმიტრის თავდადება მტერთან ბრძოლაში.

ეს პატარა წიგნაკი მკითხველს კიდევ მოაგონებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის გმირულ ფურცლებს და უფრო აღანთებს ახალი გმირული საქმეებისათვის.

წიგნაკი შეიცავს 36 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

არ მოუშვა, დაჰკარი!

ალექსანდრე აბაშელი

საქართველოს გუშაგო, გვესმის შენი ძახილი,
ვნახეთ შენმა შარავანდმა მტერი როგორ დაღალა,
ნახა შენმა ქვეყანამ, რომ მოიმკე სახელი,
უფრო მეტი დიდების მოსახვეჭად მზადა ხარ.

ხედავ, მტერი რას[illegible]ს, როგორ მოგიახლოვდა?
შენს მიწაზეც და[illegible]ილი შავი ფრთებისა.
შენი კერა აქ არი[illegible]ც აქვე სახლობდა,
დღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.

შენი თავისუფლების იდეადაბოძი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

თუ მოვიდა—ჩაგვიქრობს კერას მამა-პაპეულს,
პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური.
მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურს
და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური.

ნუმც გვენახოს—მყინვარჭედს მტრის მახვილი სწვდებოდეს,
მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცისკიდეს,
ამირანის ნადგომზე ჭონდრის კაცი დგებოდეს
და არწივთა საბუდარს ყვავ-ყორანი სძიძგნიდეს.

შენ, ქართველო ვაჟკაცო, სამშობლოსთვის შობილო!
ხალხი მისთვის დადიდებს და თავს მისთვის გევლება,
რომ რუსთველის სიმღერა მტერს არ ჩაახშობინო,
რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხევლებად.

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

„ქეთევანი“

ქეთევან ირემაძემ დასწერა ისტორიული რომანი „ქეთევანი“. ნაწარმოები შეეხება მე-16 საუკუნის ბოლო ათეული წლების და მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ცხოვრებას. მასში ვრცლად არის ნაჩვენები ქართველი ქალის ღრმა პატრიოტიზმი და თავდადება სამშობლოსათვის. რომანის მთავარ მომქმედ პირად გამოყვანილია ჩვენს ისტორიაში ცნობილი ქეთევან წამებული.

ცალკეული თავები რომანიდან „ქეთევანი“ მოკლე ხანში წაკითხული იქნება მწერალთა სასახლეში.

„ვახტანგ გორგასლანი“

ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ერთს მონაკვეთს აგვიწერს ს. მაკალათიას წიგნი „ვახტანგ გორგასლანი“. ეს წიგნაკი გამოცემულია გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ შეიცავს 40 გვერდს და ღირს 3 მანეთი.

მოძმე ხალხების მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციისათვის

მოსკოვიდან მიღებული ცნობის თანახმად, სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა განაახლოს სრული მოკუდიებით რესპუბლიკური და საოლქო კომისიების ბიუროს მუშაობა. ბიუროს ევალება შეისწავლოს და შემდეგ გაავრცელოს მოძმე ხალხების თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, დაამყაროს კავშირი რესპუბლიკების მწერლებისა საკავშირო რადიოგადაცემასთან, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსთან, ცენტრალურ პრესასთან, ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებსა და გამომცემლობასთან.

მოსკოვის მწერალთა კლუბი სექტემბერში იწყებს მომძე ხალხების ცალკეულ მწერალთა ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების სერიას. ასეთივე საღამოები პერიოდულად გაიმართება მასობრივ აუდიტორიებში.

სარესპუბლიკო და საოლქო კომისიების ბიუროში შედის 30 მწერალი, როგორც სსრკ კავშირის ხალხთა მწერლობის წარმომადგენელი.

ოპერა „ომი და მშვიდობა“

ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი სერგეი პროკოფიევი სწერს ოპერას „ომსა და მშვიდობას“ ლევ ტოლსტოის ცნობილი რომანის მიხედვით. ოპერის სიუჟეტის საფუძვლად აღებულია 1812 წლის სამამულო ომი და ის ამბები, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებდნენ ომს. ოპერის პირველ ნახევარში მოთხრობილია მთავარი პერსონაჟების — ნატაშა როსტოვას, თავად ანდრეი ბოლკონსკის, ანატოლ კურაგინისა და პიერ ბეზუხოვის თავგადასავალი. შემდეგ მოვლენების ცენტრად ხდება ომი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ფართო მასებისათვის ცნობილი პერსონაჟები რომანისა. როგორც კომპოზიტორი ამ ოპერის ლიბრეტოს კომპოზიტორს დამუშავებული აქვს მირა მ[illegible] დელსონთან ერთად. ლიბრეტო დაწერილია პროზად, ყველგან დაცულია ტოლსტოის რომანის დედნის ტექსტი. გარდა ამისა, ოპერაში შეტანილია რამდენიმე სიმღერა, რომელთა ტექსტი შეჰქმნა თვით ხალხმა 1812 წელს. ოპერის მუსიკა კომპოზიტორს ძირითადად დამოავრებული აქვს. ამჟამად ავტორი პარტიტურას სწერს.

მოქმედი არმია (დასავლეთის ფრონტი). ზუსტი სროლის ოსტატი გვარდიის სერჟანტი **პეტროვი** ტყეიამფრქვევის ცეცხლით ხელს უწყობს მეომრების შეტევითს ბრძოლას

ფოტო დ. ჩერნოვისა

პრემირებული საღამჭრო სიმღერები და მარშები

დამთავრდა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების მიერ მასობრივ სამწყობრო საღამჭრო სიმღერასა და მარშზე გამოცხადებული კონკურსის მეორე ტური. ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, პირველი პრემია მიუსაჯა შ. თაქთაქიშვილს სიმღერისათვის „საიერიშო“.

ორი მეორე პრემია შვიდას-შვიდასი მანეთის რაოდენობით მიესაჯათ საღამჭრო სიმღერის ავტორს ვ. კურტიდის და ვ. ცაგარეიშვილს საღამჭრო სიმღერისათვის „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“. ორი მესამე პრემია მიიღეს კომპოზიტორმა რ. გაბიჩვაძემ სიმღერისათვის „ღამჭრული“ და ნ. შარაბიძემ სიმღერისათვის „გამარჯვების გზით“.

კომპოზიტორის შ. აზმაიფარაშვილის სიმღერამ „გამარჯვებამ“ მიიღო ჟიურის საპატიო შეფასება.

კომპოზიტორ ა. ფარცხალაძის სამი სიმღერა ჟიურის მიერ მოწონებულია და რეკომენდირებულ შესასრულებლად.

მეზღვაური

ნ. მიქავა

ოდესიდან პერეკოპზე გადმოსული სევასტოპოლის დასაცავად მოვიდა იგი ჩვენს ნაწილში. არ მახსოვს მისი გვარი, რადგან ყველანი „ოდესელ იაშას" ეძახდნენ და ამ მეტსახელით იყო ცნობილი ამხანაგებში.

სულ მალე ყველასათვის საყვარელი გახდა იაშა. ჩვენ გვიწუხებდა მისი ბოღმა, ბოღმა მტრისაგან გაპარტახებულ ოდესაზე, მის სამშობლო ყურეზე და ზღვის მშობლიურ ნაპირებზე. მეზღვაურის გული ვერ ინელებდა გერმანელებისა და რუმინელების თარეშს ოდესაში, სადაც ყოველი კუთხე, ყოველი სახლი მისთვის ნაცნობი იყო, საიდანაც თითქოს გუშინ გაექცა სკოლას და დედის ალერსს, რომ მეზღვაური გამხდარიყო.

ვინც ერთხელ მაინც დაუახლოვდებოდა იაშას, შემდეგ მასთან დაშორება უძნელდებოდა. გოლიათი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი! ისე თავგანწირვით არავინ არ იბრძოდა და ისეთი მხიარული არავინ არ იყო, როგორც იგი. შეტევაზე მუდამ წინ მიდიოდა შეუპოვარი. ამხანაგები გატაცებით იმეორებდნენ: ტყვიისა არ ეშინიან, ტყვიას ხელით იჭერსო.

იაშას სახელი შორს იყო გავარდნილი, ჩვენს სანგრებს იქით, მტრის ბანაკშიაც. სიკვდილივით ეშინოდათ მისი ფრიცებს. მრავალი გერმანელი სნაიპერი ნადირობდა მასზე. მგონი, საფასურიც კი გამოაცხადეს გერმანელებმა იაშას მოსაკლავად—სამი ათასი მარკა. მაგრამ ამაო იყო ყოველივე. სადაც საჭირო იყო, იქ გაჩნდებოდა იგი და მუსრს ავლებდა მტერს, თან ბრაზი მოსდიოდა, რომ ასე იაფად დააფასეს მისი სიცოცხლე. იმასაც კი ამბობდნენ, რომ ერთხელ, როდესაც რუმინელების მთვრალ ასეულს ფსიქიურ შეტევაზე ერეკებოდნენ გერმანელები, ვიღაცამ დაიყვირა იაშა ოდესელიო, და შეშინებულმა რუმინელებმა მოჰკურცხლეს ბრძოლის ველიდან.

არ ვიცი, რამდენად მართალი იყო ეს ამბავი. მხოლოდ იაშაზე უამრავი ლეგენდა ითხზებოდა და ეს უფრო პოპულარულს ხდიდა მის სახელს.

მახსოვს, ერთხელ, შეტევის წინ, ხმელეთიდან ახლად მოსული რამდენიმე წითელარმიელი შიშმა აიტანა, მგონი, აცრემლდნენ კიდეც. ჩვენ ნაცად, გამოცდილ მებრძოლებად მიგვაჩნდა თავი და დაცინვა დაუწყეთ, მშიშრებს ვეძახდით. ეს რომ იაშამ გაიგო, ქორივით შემოიჭრა და მოგვმართა:

— გრცხვენოდეთ! გამხნევებისა და დახმარების ნაცვლად დასცინით ამხანაგებს!

შემდეგ მიუახლოვდა წითელარმიელებს, ერთ-ერთ მათგანს ავტომატი ჩამოართვა და გასინჯა. მერე მოხვია მათ თავისი ლომკაცის მკლავები და რაღაცაზე გაცხარებით დაუწყო საუბარი.

იაშას ძალიან უყვარდა წიგნი, თავისუფალ დროს გამუდმებით კითხულობდა და შემდეგ გულახდილად გვიზიარებდა თავის აზრს წიგნის გმირებზე. ხშირად გვიკითხავდა „ცუსიმას". ეს მისი საყვარელი წიგნი იყო.

მაგრამ ყველაფერზე უფრო, მგონი, ზღვა უყვარდა. ხშირად საათობით იდგა ზღვის პირად და გაჰყურებდა ლურჯ სივრცეს. ერთხელ კაპიტანმა დაინახა და ხუმრობით მოგვმართა:

— შეხედეთ, როგორ გაჰყურებს ზღვას ადმირალ ნახიმოვივით!

ასეთი იყო იაშა.

ხელმძღვანელობამ მალე დააფასა მისი ნიჭი და ვაჟკაცობა. მეტად საპასუხისმგებლო დავალებებს ანდობდა მას. მით უმეტეს, რომ იაშა გერმანულად თავისუფლად ლაპარაკობდა. ხშირად იგი დაზვერვაშიაც დადიოდა. ისე კარგად შეისწავლა თავისი ხელობა, რომ იშვიათად ბრუნდებოდა დაზვერვიდან ხელცარიელი—ოფიცერი ან უნტერ-ოფიცერი მოჰყავდა ყოველთვის. ნაკლები ხარისხის გერმანელის ან რუმინელის წამოყვანას საკუთარ დამარცხებად სთვლიდა.

აუწერელი გმირული შემთხვევებით იყო სავსე მისი ცხოვრება, მაგრამ ერთი ისეთი ამბავი გადახდა თავს, რომ მისი გახსენება დღესაც გაკვირვებას და აღტაცებას იწვევს ჩვენში.

სამი დღე-ღამის განმავლობაში მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა შეუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლით. სანგრებიდან თავის ამოყოფა გვიძნელდებოდა. მაინც ვერ იქნა, ვერ მივაგენით ფაშისტების კორექტორის კვალს. მზვერავთა ცნობით კი მტერი ახალი შეტევისათვის ემზადებოდა. ჩვენი ამოცანა იყო—გაგვენადგურებინა მტრის კორექტორი და დაგვესწრო გერმანელების შემოტევისათვის, მაგრამ სამმა მზვერავმა ვერავითარი ცნობა ვერ მოიტანა, ტყვეებმა არაფერი იცოდნენ...

კაპიტანმა გადაგვავლო ყველას თვალი და ვერავისზე ვერ შეჩერდა. შემდეგ იაშას დააცქერდა, თუმცა არაფერი არ უთქვამს, რადგან იგი ეხლახან დაბრუნდა დაზვერვიდან და ძალზე მოქანცული იყო. იაშა მიუხვდა უფროსს, ერთი ნაბიჯი წასდგა წინ და მოახსენა:

— ნება მიბოძეთ, ამხანაგო კაპიტანო, წავიდე დასაზვერავად.

კმაყოფილმა კაპიტანმა მაგრა ჩამოართვა მეზღვაურს ხელი.

— ხომ გესმით, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ ამოცანის შესრულებას?

— მესმის, ამხანაგო კაპიტანო!—უპასუხა წითელფლოტელმა. წამსვე გამოცოცხლდა, თვალები ხენთო და დაღლილობაც სადღაც გაჰქრა.

ეს იყო გათენებისას. იაშას უნდა გაეგო, სად იმყოფებოდა მტრის საარტილერიო ბატარეის ცეცხლის კორექტორი.

დიდხანს იფოფხა მიწაზე. ჭაობი, წყალი თითქო ყველაფერი მის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ასე არასოდეს არ დაღლილა, მაგრამ უსაზღვრო ნებისყოფა და წითელფლოტელის მოთმინება არ აძლევდა ნებას ზეზე წამომდგარიყო.

მიიხედ-მოიხედა. ადგილები შეიცნო და გული დაესერა: საკუთარ მიწაზე ფოფხვით უნდა ევლო. აენთო, შურისძიების საშინელმა გრძნობამ შეიპყრო და გაბრაზებულს განაგრძო სვლა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ხმაურმა მიიპყრო მისი ყურადღება. ოდნავ ზეზე წამოიწია, წინ გაიხედა და იქვე კვარცხლბეკზე დაინახა შენიღბული ფაშისტი ოფიცერი, რომელიც ტელეფონით ხელმძღვანელობდა საარტილერიო ცეცხლს.

იაშა დიდის სიფრთხილით მიუახლოვდა ოფიცერს და სწორედ იმ დროს, როცა თავს უნდა დასხმოდა, ფაშისტმა თითქო რაღაც იგრძნოო, მიატრიალდა და, მეზღვაური დაინახა. წუთით ორივე გაშეშდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ. შემდეგ გონს მოსულმა ოფიცერმა რევოლვერისკენ წაიღო ხელი.

იაშამ ისკუპა და თვალის დახამხამებამდე წამოაქცია ოფიცერი. მან განიზრახა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ცოცხლად წაეყვანა მტერი შტაბში, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა ამ სურვილის შესრულება, რადგან ოფიცერი ახალგაზრდა იყო და ღონიერი. სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი სწარმოებდა: ხან იაშა მოექცეოდა ქვეშ, ხან მტერი, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა რევოლვერის ამოსაღებად. იაშა მიუხვდა განზრახვას და გასაქანს არ აძლევდა.

ასე გაგრძელდა ერთხანს.

ოფიცერმა ყვირილი დააპირა მოსაშველებლად. იაშამ დროზე გაუგო განზრახვა და პირზე ხელი დააფარა. ამით ისარგებლა ოფიცერმა, სწრაფად ამოიღო რევოლვერი და საფეთქელში დაუმიზნა მეზღვაურს. კიდევ ცოტახანი და ყველაფერი გათავდებოდა, მაგრამ მტრისთვის სრულიად მოულოდნელად, ისე მაგრა ამოჰკრა იაშამ მას თავი, რომ ოფიცერი ყირამალა გადატრიალდა და დაღმართზე დაგორდა. იაშას შეეძლო შეეკრა და შტაბში წაეყვანა იგი. მაგრამ ამ დროს ახალმა აზრმა გაუელვა თავში, იძრო ფინური დანა და სწორედ მაშინ, როცა ოფიცერი წამოდგომას აპირებდა, სიცოცხლეს გამოასალმა იგი.

პორჩა თუ არა ოფიცერს, დაუყონებლივ მივარდა ტელეფონს და განაგრძო ოფიცრის მიერ შეწყვეტილი განკარგულების გაცემა: იაშა უყოყმანოდ უკარნახებდა გერმანულ ენაზე არტილერიას, და მტრის ბატარეები გამწარებით უშენდნენ ყუმბარებს ცარიელ თხრილებს. როცა ამრიგად უნაყოფოდ დაიხარჯა გერმანელების საკმაო რაოდენობის ტყვია-წამალი, მზვერავმა გარკვევით დაინახა ჩვენი სანგრებისაკენ შეტევაზე მიმავალი ფაშისტების ხროვა. მან წამსვე მოისაზრა ყოველივე და ახალი მიმართულება მისცა მტრის ცეცხლს.

თავისივე არტილერიით მუსრმოვლებული, შეტევაზე მიმავალი გერმანელები ბუზებივით მიმოიფანტენ დაბლობში. სანამ ოფიცრის შეცდომა შენიშნეს, მტრის მთავარი ნაწილი თითქმის განადგურებულ იქნა, და ჩვენი მეზღვაურების კონტრშეტევისათვის გზა გაიხსნა.

გერმანელები საშინელმა პანიკამ მოიცვა. ვინც ცოცხალი გადაურჩა ცეცხლს, ჰყრიდა იარაღს და გარბოდა უკან.

უკვე დრო იყო უკან დაბრუნებაზე ეზრუნა იაშას. ტელეფონში გერმანელი მაიორის რისხვა-ყვირილი ისმოდა. იაშამ მჭექარე ხმით ჩასძახა:

— იგემეთ? ნუ გიკვირთ, ბატონო მაიორო, ნუ ცხარობთ... თქვენი ოფიცერი აგერ გორამოს თხრილში, ყელგამოღადრული. ასეთივე ბედი მოელის ყოველ თქვენთაგანს... მე ვინა ვარ? მე წითელი ფლოტის მეზღვაური ვარ. აჰა, ესეც თქვენ უდანაშაულოდ დაღუპული დებისა და ძმების, ბავშვებისა და მოხუცებისათვის! ასე ვიცით ჩვენ შურისძიება! თქვენ გინდათ ჩვენი მიწა? მიირთვით და იმხიარულეთ, ბატონო მაიორო!

შემდეგ იაშამ გაანადგურა ტელეფონი, რაცია ააძრო ოფიცერს და გამოეშურა თავისი ნაწილისაკენ.

სულ ორ საათში ავიღეთ სტრატეგიული მნიშვნელობის გორაკი.

აბა როგორ არ უნდა ეშინოდეთ ამის შემდეგ ფრიცებს იაშა ოდესელისა?

„დავითიანის" გავლენა ქართულ პოეზიაზე

ტრიფონ რუხაძე

დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება გაიშალა და დასრულდა საქართველოს გარეთ. ამან განსაზღვრა „დავითიანის" გავლენა ქართულ პოეზიაზე. ჩვენი პოეტის ლექსების კრებული, რომელსაც მან „დავითიანი" უწოდა, მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩამოიტანეს საქართველოში. ეს არის მიზეზი, რომ დავით გურამიშვილის ლექსებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-19 საუკუნის დამდეგს არც ერთ პოეტზე გავლენა არ მოუხდენია.

დავით გურამიშვილს არ იცნობდა თვით დასახელებული ეპოქის ვიწრო ლიტერატურული საზოგადოებრიობა. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ პერიოდის ერთი უცნობი კრიტიკოსი სწერს: „პოემანი მსოფლიურნი (ე. ი. სადაც სოფლის იდილიაა მოცემული. ტ. რ.) ჩუენსა ენასა ზედა ჯერეთ არ არიანო" (საქ. მუზეუმის წერა-კითხვის ფონდი, № 1519, გვ. 28). მას რომ დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი" სცოდნოდა, ამას არ დასწერდა.

ალბათ, ეს გარემოება თვით დავით გურამიშვილსაც უკლავდა გულს. სამშობლო ქვეყნიდან მოწყვეტილი პოეტი დამფასებელს მოელოდა. ამიტომაც მან თავისი ავტობიოგრაფიული კრებული „დავითიანი" მირიან ირაკლი მეფის-ძეს მიანდო. მირიანი ძალიან ხშირად ჩამოდიოდა რუსეთიდან საქართველოში და ეს ხელნაწერი მას პირველს უნდა ჩამოეტანა საქართველოში. ოფიციალურ წყაროებში აღნიშნულია, რომ მირიანი 1786 წლიდან 1812 წლამდე სამჯერ ჩამოსულა საქართველოში.

მირიანი დიდი პატივისმცემელი იყო გურამიშვილის ნიჭისა. იგი რუსეთში მცხოვრებ ქართველ პოეტებს ავალებდა ეწერათ ლექსები დავითის მიბაძვით. ამას ამოწმებს მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი მამუკა გურამიშვილი. მამუკა მირიანის დავალებით ბაძავდა დავით გურამიშვილს:

„ეო, მეო, დია გავაწყვეო,
ბატონიშვილმა მიბრძანა,
ასე ეცადეო" (წ.-კ. ფონდი, № 303).

მართლაც, მამუკა გურამიშვილი პირველი პოეტია, რომელსაც „დავითიანის" ლიტერატურული გავლენა განუცდია. დავითის მიბაძვით იგი სწერს ლექსს „მჴეთა მჴეს":

„ეო, მეო, დავითს მივბაძეო,
გამიგონე, რას მოგითხრობ,
ყური დამიგდეო" (იქვე).

ამ მოტივზე, როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილს საკმაოდ ბევრი უწერია. აი ერთი სტროფი:

„ეო, მეო, აქეთ მომხედეო,
რას მოგითხრობ, საყვარელო,
ყური დამიგდეო" („დავითიანი", გვ. 153).

მაგრამ მამუკა გურამიშვილი არ იყო ერთად-ერთი, — დავით გურამიშვილის თაყვანისმცემელნი იყვნენ მამუკას თანამოასაკე პოეტები, მაგალითად, დიმიტრი საკაძე. იგი ერთ-ერთ ლექსში სწერს დიმიტრი ბაგრატიონს:

„დავით გახლავსთ, ის შეგაქცევსთ,
მესმის, იცის ჩანგთა ჟღერა" (დასახ. ხელნაწერი).

ნაკლებად ცნობილმა პოეტმა ქალმა სოფიომ საქართველოში მოღვაწე პოეტებს შორის პირველმა განიცადა დავითის გავლენა. ერთ-ერთ ლექსში სოფიო სწერს:

„სიტყვისა ღვთისა მსახურო,
და თანამოსაგრეოდა,
ანდრიას ქადაგებისა,
წარმართებაო, მხნეოდა..." (ლენინგრადის ქართ. ხელნაწ.).

ეს ლექსი დაწერილია დავით გურამიშვილის შემდეგი სტროფის გავლენით:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან,
შოთამ რგო იგავ ხეოდა..."

დავით გურამიშვილი ერთგან, სადაც იგი პოეტებს ახასიათებს, ამბობს:

„ერთბაშად ფრინველთ უწოდენ
შავარდენსა და ძერასა,
არ სჩხრეკენ ყვავთა ჩხავილსა,
ბულბულთა ტკბილად მღერასა...
მღერენ და მეც ბანს შევაწყობ,
დამგმობენ ამაზე მე რასა".

დავით გურამიშვილის ამ ლექსს ჰბაძავს პოეტი ივანე მურადაშვილი:

„კარგ მელექსეთა ვამსგავსებ,
ამო ბულბულთა მღერასა,
ვერ გავერევე მე მათში,
აწ ყური მიგდეთ მერასა...
ეს მოწყალება მიყავით
ნურავინ მიშლით წერასა" (წ.-კ. ხელნაწერი — 303).

მამუკა გურამიშვილი და დიმიტრი საკაძე დავით გურამიშვილის ლიტერატურულ წრეში ტრიალებდნენ და მათზე ჩვენი პოეტის გავლენა გასაგებია. მაგრამ სად შეეძლო ივანე მურადაშვილს და პოეტ ქალს სოფიოს გაეცნოთ „დავითიანი?"

ივანე მურადაშვილი რუსეთ-საფრანგეთის ომის პერიოდში რუსეთში სცხოვრობდა და იქ განიცადა „დავითიანის" გავლენა. პოეტი ქალი სოფიო კი მე-19 საუკუნის დამდეგს გორის ლიტერატურულ წრეში მოღვაწეობდა. ამ წრის მფარველი იყო ქეთევან ზურაბ წერეთლის ასული, მეუღლე ცნობილი იოვანე ბატონიშვილისა. ჩანს, ამ წრემდე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამდეგს მოაღწიეს დავით გურამიშვილის ლექსებმა.

ამგვარად, დავით გურამიშვილის პოეზიის მკრთალი გავლენა მაინც აღწევდა საქართველომდე.

შემდეგ, მე-19 საუკუნეში, ბევრი ქართველი პოეტი ეხმაურება დავით გურამიშვილს, თვით ვაჟა ფშაველაც-კი.

ლექსი ფრონტიდან

ვლადიმერ უბილავა

ტანზე მოისხამს რუსულ ფარაჯას
და ფრონტზე ვაჟკაცს მისდევს
ვაჟკაცი.
ძმებო, ჩვენ მამულს ვყავდეთ
დარაჯად,
ხიშტებისა და ხმლების კაშკაშში.

რა ვარ ბრძოლაში, თუ დავვარდები,
თავჩაღუნულად მტერს თუ
ჩავუვლი?
არ გამითელონ ბაღში ვარდები
და შეფეთქილი თურაშაული!

ვინ მოინდომებს [illegible],
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების?
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები.

გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჯენს ვაჟკაცი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების
კაშკაშში.

მოქმედი არმია

ბიბლიოგრაფია

ივანე ფრანკოს მოთხრობები

ეხლახან, სამამულო ომის დღეებში, საბლიტგამმა გამოსცა ცნობილი უკრაინელი მწერლის ივანე ფრანკოს მოთხრობები. ეს ფაქტი მეტად ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანია, ის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ხალხთა სტალინური მეგობრობის და კულტურული ურთიერთობისა.

ივანე ფრანკოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უკრაინულ ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში. იგი სახელოვანი მწერალი, პუბლიცისტი, სწავლული და საზოგადო მოღვაწეა. ტარას შევჩენკოს შემდეგ ფრანკო იყო უკრაინულ ლიტერატურაში პირველი რევოლუციონერი, ნამდვილი ხალხური მწერალი, რომელიც სიკვდილამდის დაუნდობლად ებრძოდა ხალხის მჩაგვრელებს და რომელსაც ღრმად სწამდა მშრომელი ხალხის მომავალი და გამარჯვება. ამიტომ მას ბნელი ძალები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ჩაახშვეს მისი შემოქმედებითი ენერგია. ფრანკომ თავისი პირველივე ნაწარმოებით მიიქცია უკრაინელი მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მისი შემოქმედება მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი სწერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, პუბლიცისტურ წერილებს, პოლიტიკურ მიმოხილვებს და სხვ.

ი. ფრანკო მშრომელი ხალხის ცხოვრებას ღრმად იცნობდა და მთელი სისწორით ასახავდა მის ტანჯვასა და წამებას. მისი რეალიზმის ძალა სიმართლესა და პირდაპირობაში მდგომარეობდა. მან გამოკვეთა სახეები მუშა-მემაღაროებისა, ნავთის სარეწაოების მუშებისა, პაუპერიზებული გლეხებისა, მშრომელი ინტელიგენტებისა და სხვ. თავის ნაწარმოებებში ფრანკო დაუზოგველად ამხელს კლასობრივი საზოგადოების — ბურჟუაზიულ-მემამულური სინამდვილის სიმკაცრესა და საშინელებას. თავისდროინდელი სინამდვილის მრავალი მოვლენა არის წარმოდგენილი ფრანკოს მოთხრობებსა და რომანებში: თავადაზნაურული ფენების ფუქსავატობა („საზოგადოების ბურჯნი"), კაპიტალიზმის წარმომადგენელთა გულციობა და გაუმაძღრობა („მახრჩობელა"); თვითმპყრობელური წყობილების უსამართლობა („ღორული კონსტიტუცია") და სხვ. თავის ნაწარმოებში („ბორისლავი იცინის") ფრანკომ ასახა რევოლუციური მოძრაობის განვითარება, ასახა, თუ როგორ იზრდებოდნენ მუშათა წრეებიდან რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები. ფრანკოს ეს საუკეთესო ნაწარმოებთაგანი უკვე თარგმნილია ქართულ ენაზე და საჭიროა დაჩქარდეს მისი გამოცემა.

საბლიტგამის მიერ გამოცემული ფრანკოს მოთხრობები, ქართველ საბჭოთა მკითხველებს საშუალებას მისცემენ მშობლიურ ენაზე გაიცნონ უკრაინის ხალხის დიდი მხატვრის შემოქმედების ნიმუშები. ამ კრებულში მოთავსებულია ფრანკოს შემდეგი ნაწარმოებები: „ერთი კონფისკაციის ისტორია", „ტყე და საძოვარი", „სინათლისაკენ", „სამუშაოზე", „ღორული კონსტიტუცია", „სამჭედურში", „მემაღაროე", „ნამწყესარი", „პატარა მირონა" და „გრიცკო". ფრანკოს ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ეს ნაწარმოებები.

თარგმანი კარგად არის შესრულებული. სამწუხაროდ, წიგნში არსად არ არის აღნიშნული, თუ ვისგან არის შესრულებული ეს თარგმანები. ამის აღუნიშვნელობა გამოცემის სერიოზული ნაკლია და ერთგვარი უპასუხისმგებლობაცაა.

ი. ფრანკოს მოთხრობების რედაქტორია **დ. შენგელაია.**

დ. გივარგილიანი

ა. კორნეიჩუკის ახალი პიესა „ფრონტი"

გაზეთ „პრავდას" მიმდინარე წლის აგვისტოს უკანასკნელი დეკადის ნომრებში დაიბეჭდა ცნობილი უკრაინელი დრამატურგის ა. კორნეიჩუკის ახალი პიესა „ფრონტი". პიესაში წამოყენებულია ფრიად აქტუალური პრობლემები, რომლებიც ასე აღელვებენ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას. ამით აიხსნება დიდი ინტერესი ა. კორნეიჩუკის ამ ახალი დრამატიული ნაწარმოებისადმი. „პრავდას" გადმოცემით, უახლოეს ხანში „ფრონტი" დაიდგმება საბჭოთა თეატრების სცენებზე. უკვე მიღებული აქვთ პიესა დასადგმელად მოსკოვის მცირე აკადემიურ თეატრს, ვახტანგოვის სახელობის თეატრს, პუშკინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს, ფრანკოს სახელობის კიევის უკრაინულ დრამატიულ თეატრს, ლენსაბჭოს მოსკოვის თეატრს, ნოვოსიბირსკის, იაროსლავლის, ქალაქ გორკის, ქ. მოლოტოვის და სხვა ქალაქების დრამატიულ თეატრებს.

უმაღლესი ჯილდო

ლადო ავალიანი

ამჟამად მათ გეგმაში არ შედიოდა მტრის ზურგში მოქცევა, მაგრამ ბრძოლაში „გართულმა" მზვერავებმა — სოკოლოვმა და უგრეხელიძემ უნებურად თავიანთ ნაცად ხერხს მიმართეს; შეუმჩნევლად შეიჭრნენ მტრის განლაგებაში და, რაკი შეიჭრნენ, „მადაც" აღეძრათ: გადასწყვიტეს ხელცარიელი უკან აღარ დაბრუნებულიყვნენ...

მტრის ავი თვალისაგან მათ ფარავდა გორაკები და შეფოთლილი ბუჩქები. ერთი ბუჩქის ძირიდან მეორემდე ფრთხილი ხოხვით, ყურთა სმენად ქცეულნი შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ თემშარას. ღროთღროო თემშარაზე ამაზრზენი ხმაურით მიჰქროდნენ მოტოციკლები. უკანასკნელი მოტოციკლის ხმა კიდევ ისმოდა, რომ თემშარის მოსახვევში ერთი მეორის მიყოლებით საბარგო ავტოები გამოჩნდნენ. ავტოები ჯარისკაცებით იყო გაჭედილი.

მტვერის კორიანტელში გახვეული ავტოები საკმაო სისწრაფით კვალდაკვალ მისდევდნენ მოტოციკლებს. როცა ავტოებმა ჩაიარეს, სოკოლოვმა უკმაყოფილოდ გადახედა უგრეხელიძეს და წამოიწია; ნაღვლიანად გააყოლა თვალი ჯარისკაცებით დატვირთულ საბარგო ავტოებს, რომლებიც რიგრიგობით ქრებოდნენ თვალიდან.

— კარგი იყო ახლა მაგათი დამუშავება!— შენიშნა სოკოლოვმა უფრო იმ მიზნით, რომ უფროსის გულგრილობის მიზეზი და განზრახვა შეეტყო.

— მეც არ ვიტყოდი უარს, მაგრამ... — ქამარზე მობმული გრანატა ხელით წინ წამოსწია, — ამ ოპერაციისათვის ორი და სამი ასეთი არ იკმარებდა!...

— ორ ავტოს და ორმოც ჯარისკაცს ხომ მაინც...

— ჰო, მაგრამ... თანაც ვფიქრობ: რა უფრო საგრძნობი იქნება: ნეკზე ფრჩხილი ააძრო კაცს თუ... თვალში ატაკო ეს დალოცვილი?!..

— და უგრეხელიძემ ცერის გულით ხიშტის წვერი მოსინჯა.

— ორივე ძლიერ ეტკინება, თუმცა... თვალის დაკარგვა უფრო საგრძნობი და სახიფათო იქნება!..

— ჰო-და ჩვენც ვეცადოთ, რომ სწორედ თვალში...

— ოღონდ მიჩვენეთ და თუ ავაცილო...

როგორც კი მათ ყურამდე საეჭვო ხმაურმა მიაღწია, ჩურჩული შესწყვიტეს და ისე ჩაეკრნენ, ისე ჩაებღაუჭნენ ქვიშით მოფენილ მიწას, როგორც ერთად-ერთ მფარველს.

საეჭვო ხმაური თანდათან გაძლიერდა და მოახლოვდა... ეს იყო მტრის დაზიანებული ტანკი... ეტყობოდა: საბჭოთა ყუმბარას რიგიანად დაესხა მისთვის რეტი და ახლა დიდის გაჭირვებით მიბობღავდა უკან, ცოტა ხნის წინ ყალყზე შემდგარი შემზარავი და შეუბრალებელი.

ტანკმა თემშარიდან გადმოუხვია, ბუჩქები გადაჯეგა და ორ პატარა გორაკს შორის გაჩერდა.

მზვერავებს გულის ცემა გაუათკეცა: მისმა სიახლოვემ, სულ რაღაც ათიოდე მეტრი აშორებდა მათ მტრის ტანკისაგან...

ერთი წუთის შემდეგ კოშკის სახურავი აიწია და ღრუბლიან ცის ფონზე ტანკისტის სილუეტი გამოისახა. მან თამამად დაზვერა ირგვლივ მიდამო. კოშკიდან ამოძვრა და დანარჩენებსაც ჩასძახა — ამოდითო. ორმა გერმანელმა ფრთხილად ამოიყვანა ტანკიდან დაჭრილი. ეტყობოდა, დაჭრილი უფროსი იყო, რადგან მის შენიშვნებს დანარჩენები უსიტყვოდ ღებულობდნენ. იქვე ტანკის გვერდით ბეწვიანი საბანი გაშალეს და უფროსი ზედ ფრთხილად დააწვინეს. თავშეხვეულმა ტანკისტმა მარლა მათარაში დარჩენილი წყლით დაასველა და უფროსს პირში ჩაუდო წყურვილის მოსაკლავად.

თავშეხვეული უფროსთან დარჩა. იქვე მახლობელ ბუჩქს ფოთლებიანი ტოტი მოსტეხა და უფროსს დაუნიავა. დანარჩენმა ორმა ისევ ტანკს მიაშურა, რათა სასწრაფოდ შეეკეთებინათ და როგორმე ბაზაში მიეყვანათ.

თემშარაზე კვლავ გაიჯირითეს მოტოციკლისტებმა. ერთმა ჩამორჩენილმა მოტოციკლისტმა დაზიანებული ტანკისაკენ გადაუხვია, ბუჩქებში შეიჭრა და სწორედ ტანკის წინ გაჩერდა. მოტოციკლიდან გადმოვიდა, ტანკისტებს გამოელაპარაკა; შემდეგ ტანკს მოუარა, გონწასულ მეთაურს დახედა, თავი გაიქნია, რაღაც ჩაილაღინა და ტანკისტებთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო... სიტყვებს ისეთი ბგერებით გამოსთქვამდა იგი, რომ გეგონებოდათ კალას კბილით ამტვრევსო. მან ბევრი აღარ დააყოვნა, თავისი მოტოციკლი აამუშავა, ტანკისტებს ხელის ქნევით დაემშვიდობა და თემშარაზე გაიჭრა... როცა ტანკისტებმა მანქანა შეაკეთეს კვლავ დაჭრილ მეთაურს მიუბრუნდნენ, ფრთხილად ასწიეს და ის იყო ტანკისაკენ უნდა დაძრულიყვნენ, რომ უკან მდგარი თავშეხვეული ტანკისტი დაბარბაცდა და დაეცა. როცა დანარჩენმა ორმა უკან მოიხედა, გაოცებისაგან დაჭრილი ხელიდან გაუვარდათ. დაჭრილმა თვალები გაახილა და წამოიწია, მაგრამ კვლავ უღონოდ დაენარცხა მიწაზე...

ტანკისტების წინ თოფმოღერებული სოკოლოვი და უგრეხელიძე იდგნენ. ერთერთმა ტანკისტმა მარჯვედ იტაცა ხელი მენჯზე და თვალის დახამხამების უმალ რევოლვერი იძრო, მაგრამ უგრეხელიძემ უფრო მარჯვედ და სწრაფად მოიქნია თოფი და.. ბრტყელი ხიშტი ყელში გაუყარა ურჩ ტყვეს. მეორე ტანკისტმა განძრევაც ვერ მოასწრო. მან სოკოლოვის ბრძანებისთანავე ხელები მაღლა ასწია და საცოდავად დაიღრიჯა. მის ამგვარ მოჩვენებითს შესაბრალისობას ჩვენი ბიჭებისათვის გული მაინცდამაინც არ აუჯუჩებია.

სოკოლოვი ტანკისტებთან დარჩა, რომელთაგან ერთი დაჭრილი იყო და მიწაზე დანარცხების შემდეგ უძრავად იდო. მეორეც იდო; სოკოლოვის თოფის კონდახს ისე შეენგრია მისი ტვინი, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონზე. მესამეც იქვე, შორიახლოს ეგდო—უგრეხელიძის ხიშტით ყელგაგლეჯილი. ერთადერთი ჯერ კიდევ უვნებლად ფეხზე მდგომი ტანკისტი დასცქეროდა თავის კოლეგებს.

უგრეხელიძემ ტანკი გაჩხრიკა; საბუთებს გარდა ტანკში ბლომად აღმოჩნდა ნაძარცვი, ეტყობოდა წინა დღეებში ნაშოვნ-ნადავლს ტანკისტები საგულდაგულოდ ინახავდნენ თავიანთ „ციხე-სიმაგრეში". ბარგისაგან სწრაფად გაანთავისუფლა უგრეხელიძემ ტანკი. მოტორი გასინჯა და რაკი დარწმუნდა — თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მანქანის „გულის და ტანის" დამორჩილება და ფეხის ათრევა მაინც შეეძლო, უმალვე სოკოლოვთან მიიჭრა. ცოცხალი და მკვდარი ტანკისტებიც გაჩხრიკა. მათი ჯიბეებიდან საყურადღებო საბუთებმა სასწრაფოდ უგრეხელიძის ჩანთაში გადაინაცვლეს.

— მეტი რაღა გვინდა, ეხლა კი მოუსვათ, ამხანაგო მეთაურო, — კმაყოფილებით შენიშნა სოკოლოვმა. მისმა შენიშვნამ უგრეხელიძის სახეზე არავითარი ცვლილება არ გამოიწვია.

— მოსმით მოვუსვამთ, მაგრამ, — სიტყვა აღარ დაასრულა, ხელით ანიშნა ახალი მარშრუტი.

— რას ამბობთ?.. აქ ხომ ფაშისტები დგანან!!?

— აქაც იდგნენ, მაგრამ... როგორც ხედავთ დავაწვინეთ!

მისი უკანასკნელი სიტყვები ჯერ კიდევ არხევდნენ ჰაერს, რომ სულ ახლოს, უეცრად სიცილი გაისმა.

ამას კი აღარ მოელოდნენ გულადი ბიჭები... უმალვე ყური სცქვიტეს და, სანამ აზრს მოიკრებდნენ, სიცილი მეორედაც მოესმათ, — უფრო ახლოს და უფრო მკაფიოდ.

უგრეხელიძემ გაოცებით გადახედა სოკოლოვს, თითქო ამ საოცარი შემთხვევის გამოცნობას სთხოვდა. მაგრამ სანამ სოკოლოვი გამოცნობას მოასწრებდა, მახლობლად ბუჩქებიდან თავი ამოჰყო მოხუცმა კაცმა, ოთხი თვალი და ორი ბრტყელი ხიშტი მისკენ წარიმართა, მაგრამ რაწამს უგრეხელიძემ თავისი სახელი გაიგონა, გულმა თვალის დახამხამებაში სამჯერ თუ ოთხჯერ გააკეთა სალტო.

— მაინც მომინახულეთ, ჰა! ხომ გითხარით, უჩემოდ ვერ გასძლებთ მეთქი,—ამ სიტყვებით შემოეგება და გულში ჩაიკრა ძია პროხორმა—ჯერ უგრეხელიძე, შემდეგ განზე მდგარი და ქალური სიმორცხვით თავდახრილი სოკოლოვი...

— ძალიან მომწონს თქვენი სიმარჯვე და გამბედაობა! — დაიწყო პროხორმა, მაგრამ უგრეხელიძემ არ აცალა.

— შენ ისა სთქვი, ჩემთან შტაბში თუ მოგეწონნეს ამ გამბედაობის ნაყოფი...

— მაშ ძალიან გინდათ; რომ მოგიწონონ?!

— რა თქმა უნდა, ძია პროხორ!

— მაშ კარგი, რაკი ეგრეა ჩემს წილსაც თქვენ დაგითმობთ!

— რა წილს!

— ახლა თქვენსკენ მოვდიოდი... უნდა შემეტყობინებინა... ვეღარ მოვითმინე!..

— რა!?

— რა?!—ერთად ეცნენ პირში სოკოლოვი და უგრეხელიძე.

—რა და,—პროხორმა კეფა მოიფხანა,—ისეთ ადგილს მიგასწავლით, რომ,—პროხორმა უგრეხელიძეს მხარზე ხელი მოჰხვია, მიიზიდა და აბურძგნული ულვაშები ზედ ყურის ნიჟარაზე მიადო, ჩურჩულით ჩასძახა: გინდა მიგასწავლო, სად არის იმ ღვთისპირისაგან შეჩვენებულთა შტაბი?..

— მე სწორედ მაგის მოსაძებნად ვემზადებოდი...

— მაშ გზას დაგილოცავ და დანარჩენი შენ იცი...

პროხორმა მარცხენა ხელისგული გაშალა და ზედ ღრმად დაჩნეული სიცოცხლის, სიკვდილის, ბედის, უბედობის გამომხატველ საიდუმლო ხაზებს მარჯვენა ხელის სალოკი თითი გააყოლ-გამოაყოლა; დაწვრილებით და სწრაფად აუხსნა ბიჭებს სად, რომელ შენობაში იმყოფებოდა შტაბი, რომელი გზები მიემართებოდა იქით და რომელით უფრო ხელსაყრელი იყო უკან დაბრუნება.

ბიჭებმა გულდასმით მოუსმინეს მოხუცს. შემდეგ ერთმანეთი გადაჰკოცნეს და სანამ დაიშლებოდნენ ზოგიერთ წვრილმანში სახელდახელოდ შეთანხმდნენ.

ტყვე ტანკისტთა „მოვლა-პატრონობა" პროხორმა იკისრა; მეომრებმა კი ტანკს მიაშურეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ტანკი აკვნესდა, ახვნეშდა, აღრინდა, მიწა ბრაზით დაკბილა, ერთხანს ადგილზე იტრიალა, შემდეგ თავი მაღლა ასწია და თემშარას მიაშურა...

გზაში ბევრი იბურტყუნა ტანკმა, ნაბიჯს ხან აუჩქარებდა, ხან სულ შეანელებდა, მაგრამ მის ურჩობას ანგარიშს არ უწევდნენ მეხაჭენი.

აი, გამოჩნდა სოფლის განაპირას მდგარი, ვადაბუგული სახლის შებოლილი ბუხარი.

— კარგად დააკვირდი, არ აგერიოს! — ყურში ჩასძახა სოკოლოვმა უგრეხელიძეს და ტანკი სოფელში შეაჭირითა.

პროხორისაგან გაფრთხილებული უგრეხელიძე შეუცდომლად არკვევდა შტაბის ადგილმდებარეობას. სოფელი ლამაზი გორაკის ფერდობზე იყო გაშენებული. სოფლის აღმოსავლეთით თავისი სიდიდით ყურადღებას იქცევდა ხის მაღალგუმბათიანი ეკლესია; დასავლეთით — ქარის წისქვილი ხელის თითებივით გაშლილი ფარფლებით. ეკლესიასა და წისქვილს შორის—მთელი სოფელი მომწვარ-მობუგული იყო. დამწვარი სახლის ალაგზე ზოგან ბუხარიც აღარ დარჩენილიყო...

ზოგან ჯგუფად, ზოგან შორიშორ ეყარა დამტვრეული ქვემეხები; საბარგო ავტოები—ზოგი უბორბლოდ, ზოგი ურადიატოროდ, ზოგიც სულ მთლიანად დალეწილი.

ეკლესიის ეზოში ეგდო ფრთამოტეხილი „მესერშმიტი".

უვნებლად გადარჩენილიყო ორიოდე წლის წინათ აგებული აბანოს ერთსართულიანი შენობა; რადგან იგი ქვით იყო ნაშენი—შტაბიც სწორედ იქ მოეთავსებინა მტერს.

შენობა კარგად იყო შენიღბული: შორიდან იმ ალაგს ნანგრევების მეტი არა სჩანდა რა.

სოკოლოვმა ტანკი სწორედ ამ შენობისაკენ მიმართა.

ტანკს გზა გადაუჭრა უეცრად მის ახლოს გაჩენილმა ჯარისკაცმა, მაგრამ მან უმალვე იკადრა განზე გადახტომა, როგორც კი მანქანა სახიფათოდ მიუახლოვდა. ჯარისკაცმა გაშმაგებით შეჰყვირა: „შეჩერდი"-ო, მაგრამ სოკოლოვს და უგრეხელიძეს კარგად ესმოდათ, რომ ახლა შეჩერება—სიკვდილს უდრიდა და... გზა განაგრძეს.

პირველ ჯარისკაცს მეორე გამოესარჩლა, მეორეს მესამე მიეშველა, მაგრამ ამაოდ...

ჯარისკაცების ალიაქოთზე სწორედ მაშინ გაიღო პოლკოვნიკმა შტაბის შენობის ფანჯარა, როცა ტანკი ორმოციოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა. პოლკოვნიკმა მშვიდად დაუწყო ცქერა მოახლოვებულ ტანკს, მაგრამ მისი ამგვარი მედიდური, სასიამოვნო სიმშვიდე უეცრად შეიცვალა უსიამოვნო და საუკუნო სიმშვიდით.

ტანკის სახურავის უეცრად ახდა, უკან გადატყორცნა და ორი ერთად შეკრული გრანატის წინ გატყორცნა ერთი იყო... ტანკის სახურავმა უსიამოვნოდ გაიღარუნა ფოლადის ჯავშანზე; ფანჯარაში, საიდანაც პოლკოვნიკი იცქირებოდა შევარდნილმა გრანატამ დაიგრიალა და შენიღბულ შენობას თვალისდახამხამებაში აძრო სახურავი.

მაშინ, როცა უგრეხელიძე შტაბს ჩხრეკდა, სოკოლოვი გადარჩენილ ჯარისკაცებს და შტაბის ოფიცრებს ავტომატის მოკლე-მოკლე ჯერით უმასპინძლდებოდა.

ჩვენმა მეომრებმა გამოცდილების, მოხერხების და სიმამაცის შეწყობით არც ისე ადვილად, მაგრამ მაინც დააღწიეს თავი მოსალოდნელ განსაცდელს, რაც მათ ფეხდაფეხ დასდევდა, მაგრამ თვალახვეულივით პოვნას ვერ ახერხებდა. როგორც ეტყობოდა, ჩვენი მეომრები „ბედს" ერთობ მოეწონა და სადაც კი გამოჩნდებოდნენ, ყველგან ღიმილით ხვდებოდა იგი.

იმავე ღამეს, ჩვენმა მეომრებმა უვნებლად დააღწიეს თავი მტრის ხლართებს და თავიანთი ნაწილის უფროსს ეახლნენ.

მეორე დღეს მტრის ორმა პოლკმა, რომელიც უგრეხელიძის ნაწილს უტევდა—უმაღლესი სასჯელი მიიღო; უგრეხელიძემ და სოკოლოვმა კი უმაღლესი ჯილდო.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 11150